



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ ზაშურის მუნიციპალიტეტის სოფელი ტკოცის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: პაატა ჩორგოლაშვილი

წევრები:

ეკატერინე ვეკუა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ლია ბოგვერაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ნინო თედორაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებები

მარინა თავართქილაძე - უცხოური ენები

შოთა მაღლაკელიძე - ესთეტიკური აღზრდა

ავთანდილ ცნობილაძე - ტექნოლოგიები

მზია შევარდნაძე - სახელმწიფო ენა

ნანა ცინცაძე - მათემატიკა

საბა დარსაველიძე - სპორტი

ლელა მანგოშვილი - დაწყებითი საფეხური



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	243874795

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხაშურის მუნიციპალიტეტი სოფელი ტკოცა
ფაქტობრივი მისამართი	ხაშურის მუნიციპალიტეტი სოფელი ტკოცა
საფოსტო ინდექსი	5700
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://rb.gv/7p3cc5
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tkotsa@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	---

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 1 24 0000652872, 12/06/2024
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	17 და 18 ივნისი, 2024 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლა (ერთი შენობა-ნაგებობა)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლა (ერთი შენობა - ნაგებობა)
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლა (ერთი შენობა-ნაგებობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 12 ივნისის, N MES 1 24 0000652872 ბრძანების საფუძველზე, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან

შესაბამისობის შეფასების მიზნით 2024 წლის 17 და 18 ივნისს განვახორციელეთ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლაში. (მისამართი; ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელი ტკოცა).

ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ დაგეგმა დისტანციური შეხვედრა და ერთობლივად შეიმუშავა დღის წესრიგი, განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეიმუშავა შესამოწმებელ დოკუმენტთა დამატებითი ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: ზოგადი განათლების ხარისხის ორი ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

დაწესებულებაში ვიზიტის პირველსავე დღეს სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ჯგუფი, (ბრძანება N2ს-53, 13.06.2024 წ.) რომელთანაც ექსპერტებს გვექონდა კომუნიკაცია და საქმიანი ურთიერთობა. აღნიშნული ჯგუფის წევრები იყვნენ პასუხისმგებელნი ვიზიტის პროცესში წარმოსადგენი დოკუმენტაციის თაობაზე. ვიზიტის პროცესში ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენლებს - სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს და სხვა პირებს. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან. როგორც დაწყებითი საფეხურის ექსპერტის ლელა მანგოშვილის ანგარიშიდან ირკვევა მან დეტალურად შეისწავლა ქართული ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და მე და საზოგადოების საგნობრივი მიმართულების კურიკულუმები და საჭიროებისამებრ გაგზავნა დამატებითი დოკუმენტების მოთხოვნის ფორმა. სკოლამ მოთხოვნილი დოკუმენტების ძირითადი ნაწილი გამოგზავნა ვიზიტამდე, მცირე ნაწილი – ვიზიტის დროს.

დაწყებითი საფეხურის ფარგლებში არსებული მდგომარეობის უკეთ შესწავლის მიზნით დაწყებითი საფეხურის ექსპერტს მჭიდრო კავშირი ჰქონდა სახელმწიფო ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტებთან, როგორც სატელეფონო, ასევე, ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. მათ ერთდროულად წარმართეს ინტერვიუების პროცესი, მოქმედებდნენ შეთანხმებულად.

დამატებით გამოგზავნილი დოკუმენტების გაცნობისა და ინტერვიუების პროცესში, დაწყებითი საფეხურის ექსპერტის მიერ დასმული, დამაზუსტებელი კითხვების საფუძველზე, გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული ჰქონდათ, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, როგორ უნდა წარმართონ შუალედური სასწავლო მიზნების განხორციელება. ექსპერტის მიერ გაცემული რჩევები ასახულია რჩევების ცხრილში.

საავტორიზაციო ვიზიტი სკოლაში განხორციელდა საქმიან გარემოში. დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო კონკრეტული დოკუმენტების ადგილზე წარმოდგენა. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა კორპუსი ისევ შეხვდა სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და გააცნო წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად დანახული კონკრეტული მიგნებები და რეკომენდაციები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.



წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 140	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა სრული

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა სრული

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა სრული



IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთი კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		



V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ უზრუნველყოს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (18.07.2024 - 18.07.2025) სკოლამ უზრუნველყოს შიდა და გარე პერიმეტრების ვიდეოსამეთვალყურეო კამერების აღჭურვა, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (10.04.2024 - 10.04.2026)

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



ინდიკატორი N3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ უზრუნველყოს ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კადრის აყვანა, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (20.08.2024 - 20.08.2025)
ინდიკატორი N3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობის მერბი/სკა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (18.07.2024 - 18.07.2025)
ინდიკატორი N3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლამ უზრუნველყოს სწავლის ინკლუზიური გარემოს კეთილმოწყობა (პანდუს ადაპტირებული სველი წერტილი) სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (15.12.2023-15.12.2025)
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთა შეთანხმებული საგანგებო სიტუაციებში მართვის გეგმა, სკოლის მიმართ უფლებამოსილ უწყებასთან შენობნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობისექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერ	„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სკოლას მიეცა რჩევა, სასურველია სკოლამ გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა. სკოლას განემარტა, რომ შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს დასათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც სკოლას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.



	ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემულ წერილობითი დასტური (სახელმწიფო მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	რჩევა
ინდიკატორი N 2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.	განაახლოს სკოლის გვერდი სოციალური ქსელში.
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - : I – IV კლასებში ჩასწორდეს ეროვნული სასწავლო გეგმაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად სამიზნე ცნებები. V-VI კლასში ზემოთხსენებული საკითხი გადაჭრილია მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ თითოეული თემა საშუალებას იძლეოდეს დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, რაც ხელს შეუწყობს ე.ს.გ.- ით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე მე და საზოგადოების III-IV კლასის და ჩვენი საქართველოს V-VI კლასის კურიკულუმების თემებში გამორჩენილი აქვთ სამიზნე ცნებები და ჩასამატებელია. სავალდებულოა თითოეულ თემაში დაიფაროს ყველა სამიზნე ცნება.



		წარმოდგენილი აქვთ სოლო ტექსონომიის მიხედვით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა ზოგადი სახით არის ჩამოყალიბებული. აუცილებელია, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გაწერილი ჰქონდეთ კონკრეტულ საკითხთან მიმართებით. უცხოური ენები - კურიკულუმის შემუშავებისას სასურველია გათვალისწინებული იქნეს კურიკულუმის ცხრილში არა შედეგების, არამედ სამიზნე ცნების/ცნებების/ქვეცნებების (ჟანრი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალება, კულტურათა დიალოგი) გაწერა. (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური). სახელმწიფო ენა - კურიკულუმის შემუშავებისას სასურველია იხელმძღვანელოთ სტანდარტით შემოთავაზებული სავალდებულო თემებით. კურიკულუმში გაწეროთ არა სახელმძღვანელოს თავის დასახელება, არამედ თემა. (ადამიანი და მისი ცხოვრება, სამყაროს შეცნობა, მარადიული ძიებები) (საბაზო საფეხური). საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე, გეოგრაფიის საგნობრივ კურიკულუმებში გამორჩენილი გაქვთ სამიზნე ცნებები და უზრუნველყავით, რომ ყველა სამიზნე ცნება გქონდეთ წარმოდგენილი თითოეულ სავალდებულო თემაში. კურიკულუმში შეიტანეთ შემდეგი სახის ცვლილება: ● გეოგრაფიის საგნობრივ კურიკულუმებში ასახული ძველი სამიზნე ცნება გეოგრაფიული კვლევა და გეოგრაფიული ანალიზი ამოშალეთ. ● გეოგრაფიის VII, VIII, IX კლასის თემებში გამორჩენილი სამიზნე ცნებები ჩაამატეთ, რომ თითოეულ თემაში დაფაროთ ოთხივე სამიზნე ცნება. (გეოგრაფიული გარსი; გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი; მოსახლეობა და მეურნეობა; მდგრადი განვითარება). მათემატიკა - რადგანაც ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სავალდებულო თემებს, სასურველია, XII კლასის კურიკულუმის პირველ სვეტში ჩაწერილი თემები დაზუსტდეს სტანდარტის მიხედვით, მესამე სვეტში კი დაკონკრეტდეს საკითხები თემის ფარგლებში, გრიფირებულ სახელმძღვანელოებზე და სხვა დამატებით სასწავლო რესურსებზე დაყრდნობით.
--	--	--



2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგები ასახულია სკოლის მიერ მოწოდებულ სხვადასხვა დოკუმენტში (მაგ. შეფასების სქემები, შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი) კარგი იქნება სკოლამ ცალკე ასახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში სწავლის შედეგები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) მათემატიკა - 1.რადგანაც ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სავალდებულო თემებს, სასურველია, მე-5 კლასის კურიკულუმის პირველ სვეტში ჩაწერილი თემები დაზუსტდეს სტანდარტის მიხედვით (დაემატოს თემები ბრტყელი და სივრცული გეომეტრიული ფიგურები; მონაცემი, მონაცემთა ანალიზი; ცვლადიანი გამოსახულება, განტოლება ; სიდიდე: ფულის ნიშნები, სიგრძე, ფართობი), მესამე სვეტში კი დაკონკრეტდეს საკითხები თემის ფარგლებში, გრიფირებულ სახელმძღვანელოებზე და სხვა დამატებით სასწავლო რესურსებზე დაყრდნობით. 2.სასურველია დაწყებითი საფეხურის მე-5 და მე-6 კლასის მათემატიკის კურიკულუმებს დაერთოს კომპლექსური დავალების პირობები, სადაც კარგად გამოჩნდება რა ცოდნის კონსტრუირებას უნდა მოემსახუროს კომპლექსური დავალება. რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა და რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს; 3. სასურველია დაწყებითი საფეხურის მე-5, მე-6 კლასის მათემატიკის კურიკულუმებს დანართის სახით დაემატოს თემატური მატრიცები, სადაც ნაბიჯების მიხედვით გაწერილი იქნება კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები, აქტივობები, რესურსები, შეფასების რუბრიკები. მათემატიკა - 1.სასურველია საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებს (ნაცვლად კურიკულუმის ჩარჩოს „კომპლექსური დავალების იდეა“- სვეტში ჩაწერილი შინაარსისა) დაერთოს კომპლექსური დავალების პირობები, სადაც კარგად გამოჩნდება რა ცოდნის კონსტრუირებას უნდა მოემსახუროს კომპლექსური დავალება, რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა და რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს. 2. სასურველია საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებს დანართის სახით დაემატოს თემატური მატრიცები, სადაც ნაბიჯების
-----------------------	---	---



		მიხედვით გაწერილი იქნება კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები, აქტივობები, რესურსები, შეფასების რუბრიკები. მათემატიკა - 1.სასურველია საშუალო საფეხურის X კლასის კურიკულუმში ჩაიწეროს მხოლოდ ის ქვეცნებები რომელიც მოცემულ კლასში კონკრეტული თემის ფარგლებში მუშავდება. 2. სასურველია საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებს დაერთოს კომპლექსური დავალების პირობები, რომელშიც კარგად გამოჩნდება რა ცოდნის კონსტრუირებას უნდა მოემსახუროს კომპლექსური დავალება, რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს. 3. სასურველია საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებს დანართის სახით დაემატოს ყველა კომპლექსური დავალების შესაბამისი თემატური მატრიცა, სადაც ნაბიჯების მიხედვით გაწერილი იქნება კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები, აქტივობები, რესურსები, შეფასების რუბრიკები. სახელმწიფო ენა - V-VI კლასის კურიკულუმში დააკვირდით სასწავლო ერთეულების გაწერას ისე, რომ არ მოხდეს საკითხისა და ძირითადი ტექსტების აღრევა. საკითხი მნიშვნელოვანი სასწავლო ერთეულია.
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებულ რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს მოსწავლე მიერ კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას.	მათემატიკა - სასურველია სკოლის მიერ წარმოდგენილი რესურსების რეესტრი იყოს მეტად ორგანიზებული. კერძოდ, მათემატიკის კათედრის მიერ საგაკვეთილო პროცესისთვის შერჩეული რესურსების ჩამონათვალი იყოს გამოყოფილი სხვა კათედრის რესურსებისაგან. (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური). საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ქიმიის კაბინეტში სადემონსტრაციო მაგიდა დაიფაროს ცეცხლგამძლე მასალით (საბაზო და საშუალო საფეხური).
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმი განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	მათემატიკა - სასურველია სტანდარტით განსაზღვრული შეფასების ინდიკატორების გამოყენებით, თითოეული თემისთვის, შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც შეფასების კრიტერიუმები



		აჩვენებს რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. (დაწყებითი საფეხური). მათემატიკა - სასურველია სტანდარტით განსაზღვრული შეფასების ინდიკატორების გამოყენებით, თითოეული თემისთვის, შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა (საბაზო, საშუალო საფეხური). უცხოური ენები - სოლო ტაქსონომიით შეფასებისას, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავებისა და შემაჯამებლის ანალიზისას გაწერეთ შეფასების კრიტერიუმები ყველა დონეზე. (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური). სახელმწიფო ენა - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოებისას გთხოვთ გადახედოთ ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასება გამოკვეთით გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან (საფეხურის შედეგი, სამიზნე ცნება) მიმართებით. ქულა გამოიყვანეთ კონკრეტულ ინდიკატორზე დაყრდნობით. ასევე, სოლო ტაქსონომიის დონეების აღწერილობაც უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული კომპლექსური დავალების სამიზნე ცნებებს, მკვიდრ წაროდგენებს. (საბაზო საფეხური). სახელმწიფო ენა - სასურველია გაითვალისწინოთ, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება უნდა შეესაბამებოდეს გრძელვადიან სასწავლო მიზნებს (საფეხურის შედეგი, სამიზნე ცნება.) წყარო- ესგ (საშუალო საფეხური).
2.2.1.3	შეფასების სიტემა არის ვალიდურ გამჭირვალე, სანდო, ობიექტურ სამართლიანი.	მათემატიკა - სასურველია ყველა კომპლექსურ დავალებას ახდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, სადაც მაქსიმალურად დეტალურად იქნება გაწერილი თუ რა მოლოდინი შეიძლება გვექონდეს მოსწავლისაგან. შეფასების რუბრიკა უნდა ეფუძნებოდეს კომპლექსურ დავალებას და იყოს კონკრეტული (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური).
2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემი შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.	სასურველია გამოიყენოთ მეტი და მრავალფეროვანი მონაცემთა შეგროვების მეთოდები, მაგალითად ფოკუსჯგუფი, ინტერვიუ, მეორად მონაცემთა ანალიზი (ინტერვენციის შემდგომი ანალიზი) და ა.შ. რათა სხვადასხვა ჭრილში მოახდინოთ სასწავლო პროცესის შეფასება (დაწყებითი, საბაზო, საშუალო)



VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა თავისი შინაარსით შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. ასევე, იგი პასუხობს თემის და სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს. სკოლამ მისიაში ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად განსაზღვრა მოსწავლეებს ჩამოუყალიბოს ეროვნული თვითშეგნება და პატრიოტიზმი. ასევე, მოსწავლეებს განუვითაროს გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები, დაუმკვიდროს ცხოვრების ჯანსაღი წესი, დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება და დაეხმაროს მათ ოჯახის, საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში. რაც შეეხება სკოლის ხედვას მისი ფორმულირება არის შემდეგი: სკოლაში ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, სადაც ყველა მოსწავლე შეძლებს ცოდნის შეძენას, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას და დემოკრატიულ საზოგადოებაში თანაცხოვრებისათვის საჭირო დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. ღირებულებები კი წარმოდგენილია შემდეგი პრინციპების სახით: გამჭვირვალობა, მიუკერძოებლობა, თანამშრომლობა, ობიექტურობა, განვითარება და ინოვაციურობა.

ინდიკატორი 1.1.1.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლა მისიით, ხედვით და ღირებულებებით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლისათვის მნიშვნელოვანია, ურთიერთპატივისცემაზე, ნდობაზე და დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა. სასკოლო კულტურა თანამშრომლობითია, რაც გამოიხატება სკოლაში მიმდინარე პროცესებში სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო, რომელიც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენას. სკოლაში აქტიურად ხორციელდება სასკოლო პროექტები, მიმდინარეობს კლუბური მუშაობა. სკოლა მუდმივად მიმართავს როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეებისა და მათი მშობლების წახალისების სხვადასხვა ფორმას: მიღწევების გაზიარებას სკოლის Facebook გვერდზე, კლასის წარმატების აღიარება და გასაჯაროება. დიპლომების, სიგელებისა და სერტიფიკატების გადაცემა, სპორტული მიღწევების წარმოჩენა, მოსწავლეთა ნამუშევრების ინდივიდუალური გამოფენა, მშობელთათვის ბარათი მოსწავლის წარჩინებული სწავლისათვის, ხდება სკოლის კურსდამთავრებულთა მიღწევებისა და წარმატებების გასაჯაროება.

ინდიკატორი 1.1.1.2 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილია მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების ეტაპები, პასუხისმგებელი პირები და ასევე გაზიარების მექანიზმი. სკოლის დირექტორის 2023 წლის 5 სექტემბრის ბრძანებით N2ს-3, სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა და ღირებულება) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. სკოლის ფილოსოფიის შედგენა განხორციელდა სასკოლო საზოგადოების მაღალი ჩართულობით. ფილოსოფიასთან დაკავშირებით გამოიკითხა სასკოლო საზოგადოება, მოსწავლეები, მშობლები. სასკოლო საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაციითა და მათგან მიღებული უკუკავშირების გათვალისწინებით, მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ცვლილებები შევიდა ძველ მისიაში და ჩამოყალიბდა ახალი. ჩატარებული კვლევის შედეგების (კითხვარები) გათვალისწინებით სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი, რომელიც

წარედგინა სკოლის სამეურვეო საბჭოს განსახილველად და შესათანხმებლად, ხოლო შემდეგ განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინა პედაგოგიურ საბჭოს. საბოლოო სახით სასკოლო ფილოსოფია (მისია, ხედვა და ღირებულება) გაზიარებულ იქნა სკოლის ვებ-გვერდზე და განთავსდა სკოლაში თვალსაჩინო ადგილას, სტენდზე.

ინდიკატორი 1.1.1.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლის მიერ შემუშავებული ფილოსოფია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, განხილულ იქნა სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის სხდომაზე, ფილოსოფია დამტკიცებულ იქნა 2023 წლის 7 სექტემბრის პედაგოგიურ საბჭოზე (ოქმი N1). 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები. ასევე, კლასის დამრიგებლების მიერ მშობლების ჯგუფში გაზიარებულ იქნა სკოლის ფილოსოფია.

ინდიკატორი 1.1.1.4 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლის მიერ შემუშავებული მისია, ხედვა, ღირებულებები საჯაროა. კერძოდ, განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე <https://rb.gy/7p3cc5> და გამოკრულია სკოლის შენობის მისაღებ სივრცეში თვალსაჩინო ადგილას. იგი ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის.

ინდიკატორი 1.1.1. 5 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მის საქმიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის წესდების“ მიხედვით, სკოლის სახელწოდება „სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლა“ სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას.

ინდიკატორი 1.1.1.6 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფილოსოფია;
- საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ ბრძანება N448 (15.09.2005);
- სკოლის ვებგვერდი <https://rb.gy/7p3cc5>
- მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება (სკოლის საინფორმაციო დაფა);
- კითხვარი (სკოლის საზოგადოების) სტრატეგიულ დაგეგმვაზე;
- სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის დირექტორის 2023 წლის 5 სექტემბრის N2ს-30 ბრძანება სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N1 (07.09.2023 წ.);
- სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1 (07.09.2023 წ.);
- სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის 2023-2024 სასწავლო სასკოლო გეგმა;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, ასევე პროცესში ჩართულ მხარეებს. ამასთანავე, განსაზღვრავს სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის, მონიტორინგის, შეფასების და გაზიარების მექანიზმებს. სკოლა სტრატეგიული დაგეგმვისას იცავს თანამონაწილეობის, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების პრინციპებს. მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია სტრატეგიული დაგეგმვის ხუთ ეტაპიანი პროცესი, რომელშიც ჩართული მხარეები მთლიანად წარმოადგენენ სასკოლო საზოგადოებას. სტრატეგიული დაგეგმვის პირველი ეტაპი მოიცავს სასკოლო საზოგადოებისაგან (პერსონალი, მოსწავლე, მშობელი, სხვა დაინტერესებული პირი) ინფორმაციის შეგროვებას დაწესებულების შიდა პროცესებისა და დამოკიდებულებების შესახებ. ამ ეტაპზევე ხდება სკოლის შიდა და გარე მარეგულირებელი დოკუმენტაციის დამუშავება და ანალიზი. ინფორმაციის შეგროვებისათვის საჭიროების მიხედვით, იყენებენ თვისობრივი ან რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს, რომლის ანალიზის შედეგად ზუსტდება მათი მოლოდინები სკოლის მიმართ; სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მიზნით, მზადდება ანგარიშები და სტატისტიკური ინფორმაცია. პირველ ეტაპზე მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, დაგეგმვის ჯგუფი განხილვების შედეგად აყალიბებს სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების შესახებ განაცხადს (swot

ანალიზი). პირველი ეტაპის ბოლოს ხდება სიტუაციის ანალიზის განხილვა და უკუკავშირის მიღება. ინფორმაციის შეგროვების და ანალიზის ეტაპზე სამუშაო ჯგუფი აქტიურად ისმენს სასკოლო საზოგადოების შენიშვნებსა და რჩევებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს აღნიშნული რეკომენდაციების საბოლოოდ შემუშავებულ დოკუმენტებში ასახვას. რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, იგი წარმოადგენს სტრატეგიულ გეგმაში მოცემული მიზნების მიღწევის უფრო მცირე და შედარებით მოკლე ვადაში შესასრულებელი ამოცანების ერთობლიობას, რომლებიც ერთი წლის პერსპექტივით შემუშავდება.

წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესწავლით დგინდება, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები და ინტერესები.

ინდიკატორი 1.2.1.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 14 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს N2 სხდომაზე დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელიც არის ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. მასში გაწერილია 2023-2030 წლების სტრატეგიული მიზნები:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

თავის მხრივ თითოეული სტრატეგიული მიმართულება იყოფა შესაბამის ამოცანებად. გაწერილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. აღნიშნული მიმართულებები და ამოცანები ეყრდნობა სკოლის მიერ წარმოდგენილ SWOT ანალიზს, სადაც იდენტიფიცირებულია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და გამოწვევები. სკოლა ცდილობს უპასუხოს გამოწვევებს, გააძლიეროს სუსტი მხარეები და გამოიყენოს შესაძლებლობები.

ინდიკატორი 1.2.1.2 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა ერთწლიანია და ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას. მასში ისევე, როგორც სტრატეგიულ გეგმაში ასახულია სტრატეგიული მიზნები და ამოცანები შესაბამისი აქტივობებით, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. სამოქმედო გეგმა დაფუძნებულია თვითშეფასებაზე, რაც უფრო მკაფიოდ გამოჩნდა სკოლის დირექტორთან და კათედრის ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას.

ინდიკატორი 1.2.1.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4.. სკოლას 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ჰქონდა სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, კალენდარულ თვეებზე გაწერილი შესრულების ვადები და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები. სტანდარტი უკეთ დაკმაყოფილების მიზნით

ინდიკატორი 1.2.1.4 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის დირექტორის 2023 წლის 5 სექტემბრის N2ს-30 ბრძანება;
- სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლის სამეურვე საბჭოს 14 სექტემბრის სხდომის ოქმი N2;
- სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების გეგმა (2023-2030 წწ.);
- სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. დოკუმენტის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ხორციელდება დაკვირვებითა და შეფასებით, რათა დადგინდეს რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სამეურვეო საბჭო. მონიტორინგისათვის სკოლაში ასევე, გამოიყენება ანგარიშების მექანიზმი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ ანგარიშებს, მათ მიერ შესრულებულ სამუშაოზე. სამეურვეო საბჭო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე სხდომაზე განიხილავს სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშებს. ანგარიშების სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ივსება სპეციალური ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ ხდება მონიტორინგის შედეგების ანალიზი. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.

ინდიკატორი 1.2.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას. ასევე, მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების უკუკავშირის გაზიარებას. შეფასება ხდება პედაგოგიურ საბჭოს და კათედრის სხდომებზე, დირექტორის ყოველწლიურ ანგარიშით (მაგ. ბიუჯეტის შესრულების შესახებ), მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანგარიშით. სკოლას სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია დამტკიცებული აქვს 2023 წლის სექტემბერში. ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის ივნისში. შესაბამისად ვიზიტის პერიოდში აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სტრატეგიული განვითარების (2023-2030 წწ.) და სამოქმედო გეგმის (2023-2024 წ) შესრულების მონიტორინგი და შეფასება ჯერ განხორციელებული არ იყო.

ინდიკატორი 1.2.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. პირველადი ავტორიზაციის პირობებში **ინდიკატორი 1.2.2.3 არ ფასდება.**

4. პირველადი ავტორიზაციის პირობებში **ინდიკატორი 1.2.2.4 არ ფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის დირექტორის 2023 წლის 5 სექტემბრის N2ს-30 ბრძანება;
- სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლის სამეურვე საბჭოს 14 სექტემბრის სხდომის ოქმი N2;
- სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების გეგმა (2023-2030 წწ.);
- სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024;

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1..სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები : სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაციისთვის ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და და „საჯარო სკოლის წესდების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით, სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებით შემუშავებული და დამტკიცებულია საშტატო განრიგი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია თანამდებობები/პოზიციები და რაოდენობა. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია რა ეკრძალებათ დასაქმებულებს და რისი უფლება აქვთ მათ სკოლის ტერიტორიაზე. სკოლის თანამშრომლებს შესასრულებელი ფუნქციების შესახებ ეცნობებათ ხელშეკრულების გაფორმებამდე და მხარეთა შეთანხმების შემდეგ ფორმდება ხელშეკრულება.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2..სკოლის სტრუქტურულ ერთეულებსა და პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია დასაქმებულთა მიერ დაკავებული შრომითი პოზიციების მიხედვით. არ არის გადაფარული სხვადასხვა დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები, დაკისრებული შრომითი მოვალეობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან (შრომის კოდექსი, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და სხვა) რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის თანამდებობრივი სტრუქტურა შედგება: სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალისა და მასწავლებლებისაგან. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით,

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ბიბლიოთეკარის ხელშეკრულება;
- წამყვანი მასწავლებლის ხელშეკრულება ;
- უფროსი მასწავლებლის ხელშეკრულება;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია შრომის შინაგანაწესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგნოზირებად სამუშაო გარემოს. აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების თანამდებობრივი პოზიციები და უფლება-მოვალეობები, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის, სკოლის შინაგანაწესისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. თანამდებობრივი ინსტრუქციები განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებული პირების უფლება-მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, აღნიშნული დოკუმენტი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელზე და სავალდებულოა შესასრულებლად და წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

სკოლაში შემუშავებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავების მიზანია სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით ან/და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტით არ არის დარეგულირებული პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები, კერძოდ არ არის დარეგულირებული დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს სკოლა სამუშაოზე არ მყოფი დასაქმებულის ფუნქციების დელეგირებას სხვაზე ისე, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე პროცესები. მაგალითად, რა პრინციპით მოხდება მასწავლებლის გაცდენის ან/და საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შემთხვევაში მისი შეცვლა კოლეგებით ან შემცვლელი მასწავლებლის დაქირავებით. სკოლას მიეცა რჩევა დაარეგულიროს პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2.. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები. კოლეგებს შორის ურთიერთობა თანამშრომლობითია - საუკეთესო გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება მიღებული ფორმით. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს საჭირო რეგულაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ. სკოლაში შემუშავებულია კონკურსის გამოცხადების წესი, რომლის საფუძველზეც პერსონალი შეირჩევა გამჭვირვალედ. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არსებითად წარმოადგენს იმ მიზანთა ერთობლიობას, რომელთა მიღწევაც სურს სკოლას საკადრო მიმართულებებით და ამ მიზნების მისაღწევად შესასრულებელ ამოცანებს. სკოლაში ადამიანური რესურსების განვითარება და მართვა ხორციელდება-სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვისა და შერჩევის აქტიური პროცესის განხორციელებით, საჭიროების შემთხვევაში, ხანგრძლივი და საჭიროების მიხედვით დაგეგმილი ტრენინგებისა და მართვის განვითარების აქტივობების მიხედვით. ნდობაზე

დაფუძნებული ურთიერთობების გაღრმავებით, დასაქმებულთათვის საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდების გზითა და პოზიტიური გარემოს შექმნით. ახალი კადრის ინტეგრაციასა და ადაპტაციას სასკოლო საზოგადოებაში ახორციელებს დირექტორი, საგნობრივი მიმართულებით საქმიანობის გარკვევაში- კათედრის ხელმძღვანელი, მოსწავლეებთან და მშობლებთან კომუნიკაციის დამყარებაში - კლასის დამრიგებლები. ამგვარი მიდგომები სკოლაში გამოიყენება მრავალი ათეული წელი და ის უკვე სკოლის კულტურის ნაწილადაა ქცეული.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3.სკოლაში დაცულია მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსია გამოცხადებულია მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე, წარმოდგენილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა საკონკურსო კომისიის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც შესაბამისობაში იყო კანონმდებლობასთან. ექსპერტების მიერ დოკუმენტების შესწავლისა და მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების სისტემა, პერსონალის შერჩევის და დასაქმების პოლიტიკა დაფუძნებულია გამჭვირვალებასა და ობიექტურობაზე, აღნიშნული წესები გაწერილია სკოლის

შინაგანაწესში.

ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა თანამშრომელთა პირადი საქმეები, პირად საქმეებში წარმოდგენილი იყო შესაბამისი ცნობები.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, პერსონალის კვალიფიკაცია და მოთხოვნები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან, მასწავლებლის ეთიკის კოდექსთან, შინაგანაწესთან, რასაც ადასტურებს მასწავლებლის კვალიფიკაციის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც eshcoid-ის ბაზაშია და ასევე არსებობს მატერიალური ფორმით, რომელიც ინახება სკოლაში. ყველა სასწავლო საგანს ჰყავს პროფესიონალი მასწავლებელი. სკოლაში საბაზო საფეხურზე მომუშავე 21 მასწავლებლიდან წამყვანია 4 მასწავლებელი, უფროსი - 15, სპეციალური მასწავლებელი 1; ერთი მასწავლებელი დროებით არის დანიშნული (სახვ. და გამოყ. ხელოვნება) ვაკანსიის შევსებამდე. ხოლო ვაკანსიაზე აყვანის კრიტერიუმები შეესაბამება დასაქმებულის პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებს. საკვალიფიკაციო მოთხოვნები წინასწარ ცნობილია დაინტერესებულ პირთათვის.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

5..ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში ყველა პროცესი ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, აღნიშნული დადასტურდა საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს, სკოლის ადმინისტრაცია ერთობლივად , გუნდურად ხელმძღვანელობს სკოლის პერსონალს, სკოლის სტრუქტურული ერთეულების: სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს. სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით პრინციპებს.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

6...სკოლაში არსებობს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. კერძოდ, სკოლის მასწავლებლების ნებისმიერი მიღწევა პოზიტიურად არის აღქმული და გაზიარებული კოლეგების, სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეების, მშობლების, თემის და სხვა დაინტერესებულ პირთა მიერ. მასწავლებლები ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგებს და სკოლაში არსებობს ტრენინგზე მიღებული ცოდნისა და

სიახლეების გაზიარების პრაქტიკა, საჭიროების შემთხვევაში პედაგოგები აკეთებენ მოსმენილი ტრენინგის პრეზენტაციას თანამშრომლებისათვის, ასევე შეძენილი ცოდნისა და მიღებული სიახლეების საფუძველზე გეგმავენ ერთობლივ პროექტებს. სკოლას აქვს აღიარებისა და გაზიარების საკმაოდ მრავალფეროვანი მაგალითები. ყოველი წარმატებული აქტივობა, განხორციელებული მასწავლებლის, ან მოსწავლის მიერ ზიარდება Facebook - გვერდზე და თვალსაჩინო ხდება როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის, ასევე, დაინტერესებული პირებისთვის; ახალი სასწავლო წლის დაწყების ღონისძიებაზე საჯაროდ და საზეიმო ვითარებაში ხდება მათი წარდგენა - დაჯილდოება და მადლობის თქმა დამსწრე საზოგადოების თანდასწრებით.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის საშტატო ნუსხა;
- ბრძანება საჯარო სკოლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის წესის დამტკიცების შესახებ;
- მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი;
- კონკურსში შერჩეული მასწავლებლის ოქმი;
- მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამსახველი დოკუმენტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება

- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1..სკოლაში მიმდინარეობს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის (რომელსაც გააჩნია საკუთარი დებულება, სამოქმედო გეგმა. შემუშავებული აქვს მონიტორინგის, შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები) საქმიანობა, რომელიც მასწავლებელთა საჭიროებების დადგენასა და განვითარების მხარდაჭერ ღონისძიებებზეა პასუხისმგებელი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა გაკვეთილზე დასწრება და შედეგების ანალიზის მიზნით სამუშაო შეხვედრების ჩატარება. სკოლაში ფუნქციონირებს ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი. ჯგუფის მიერ კონტროლდება სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას პერიოდულად განიხილება სსსმ მოსწავლის სწავლის პროცესში წარმოქმნილი სირთულეები და მისი დაძლევის გზები.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2...ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ძირითად მიზანს წარმოადგენს, სასწავლო პროცესის მონიტორინგი, რომელზეც ხდება მასწავლებელთა პროფესიული საჭიროების დადგენა. ამ კუთხით სკოლა ახორციელებს მთელ რიგ ქმედებებს, იყენებს მხარდაჭერის შიდა მექანიზმებს (წარმატებული გამოცდილების გაზიარება, ინტეგრირებული გაკვეთილები, მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრები) შესაბამისად, სკოლა გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით, ხელს უწყობს პედაგოგს ჩაერთოს შესაბამის აქტივობებში (სპეციალისტის მოწვევა, კონსულტირება, უკუკავშირი, მეთოდოლოგიური ლიტერატურის მიწოდება და სხვა.). სკოლა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს მასწავლებელთა მხარდაჭერას. დროულად აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა დაგეგმილი პროფესიული განვითარების პროცესებისა და აქტივობების შესახებ). სკოლას შემუშავებული აქვს გაკვეთილზე დაკვირვების შემდეგ მასწავლებლების მხრიდან გამოვლენილი საჭიროებების მონიტორინგის გეგმა, სადაც დეტალურად არის გაწერილი საჭიროებები და მათ გამოსასწორებლად განსახორციელებელი აქტივობები.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3...სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით ზუსტდება, რომ სკოლას აქვს მასწავლებლის კარიერის ახალ საფეხურზე გადასვლის მხარდაჭერის გამოცდილება. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირის - ტუტორის ჩართულობით ხდება მაძიებელი მასწავლებლის სტატუსის ამაღლება. სკოლაში არის გეგმა, რომელიც ეხება ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობი ღონისძიებების ორგანიზებას (მასწავლებელთა ჩართვას სხვადასხვა ტრენინგსა და კონფერენციაში). პედაგოგებს გავლილი აქვთ ტრენინგები სხვადასხვა ახალი არჩევითი საგნის, რომლის დანერგვის გამოცდილებაც სკოლაში არსებობს. სკოლის მიერ წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პერსონალის კარიერულ ზრდასთან დაკავშირებულ საკითხებს, პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, სკოლა ერთვება სხვადასხვა პროგრამასა და პროექტში. სკოლას აქვს მზაობა ხელშეწყობილი იქნას პერსონალის კარიერული ზრდა.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. სკოლაში ტრადიციულად არსებობს კოლეგებს შორის ურთიერთპატივისცემაზე, ემპათიაზე, თანასწორუფლებიანობაზე და ტოლერანტობაზე დაფუძნებული გარემო. სკოლის თითოეული თანამშრომელი ცდილობს ახალ თანამშრომელს გაუადვილოს გარემოსთან ინტეგრაცია, დაეხმაროს ადგილის დამკვიდრებაში, ხელი შეუწყოს საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რეალიზებაში. ამისათვის თანამშრომლები ახდენენ ფუნქციების დელეგირებას, საერთო პროექტებში ჩაბმას და თანასწორუფლებიანობის დაცვის პრინციპით ურთიერთთანამშრომლობას.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

5.სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან და დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში თანამშრომელთა ინიციატივები ყოველთვის წახალისებულია. დირექტორი აღნიშნავს, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. უზრუნველყოფს ადამიანური და მატერიალური რესურსებით. სკოლა ცდილობს შექმნას მასწავლებლებისთვის კომფორტული, კოლეგიალური სამუშაო გარემო და საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს მათი ინფორმირება და ფასილიტაცია. სკოლაში არსებობს თანამშრომლების მიღწევების გაზიარების პრაქტიკა, ნებისმიერი მიღწეული წარმატება პოზიტიურად არის აღქმული და გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ, ხოლო ის მასწავლებელი, ვინც წარმატებას მოიპოვებს ნებისმიერ საკითხში ახდენს საკუთარი გამოცდილების გაზიარებას დანარჩენებისათვის, ატარებს საუბრებს, ისწრებს გაკვეთილზე და აცნობს სიახლეს, საჭიროების შემთხვევაში ახდენს მიღებული ცოდნის პრეზენტაციას. ამ კუთხით გამოვლენილი თითოეული წარმატება ზიარდება სკოლის Facebook გვერდზე. აქტიური პედაგოგების მიმართ სკოლა სისტემატიურად იყენებს წახალისების სხვადასხვა მექანიზმს კერძოდ: ერთჯერადი ფულადი წახალისება, Facebook-ზე გამოქვეყნებული სტატუსები.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის შექმნის ბრძანება N2ს/22-2020 წ;
- „ჩვენი ბედნიერი მომავალი „ eTwinning-ის საერთაშორისო პროექტი;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა;
- მასწავლებლების სამუშაო შეხვედრის ფორმა;
- მოწვეული სპეციალისტის ხელშეკრულება (მასწავლებელთა კონსულტირება);

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1..სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც აღწერს და არეგულირებს სკოლის მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. დოკუმენტის მიზანია სკოლის მისიის განხორციელება და ემსახურება სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს და მის მუდმივი სრულყოფას. დოკუმენტი არეგულირებს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობას, რომელიც ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამება“.

2..სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ასევე დამხმარე პროცესები. მოცემული საკითხები რეგულირდება ხარისხის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, საქმისწარმოების წესით, პერსონალური მონაცემების დაცვის წესით, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტითა და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს საკითხებს თუ რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი. მოსწავლეთა თვითმმართველობა ჩართულია სკოლის საქმიანობაში და ადმინისტრაციასთან და მოსწავლეებთან ერთად გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს. სკოლაში აგრეთვე მუშაობს ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი, სტრატეგიული გეგმის განვითარების მონიტორინგის ჯგუფი, დისციპლინური კომიტეტი, მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობას უზრუნველყოფენ დამრიგებლები სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად; სკოლაში უსაფრთხოების ნაწილს მართავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც რეგულარულად იკრიბება და განიხილავს სკოლისათვის მნიშვნელოვან საკითხებს. მრჩეველთა

საბჭოს შემადგენლობაში შედიან: მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი, სკოლის უპპ პირი, რესურსცენტრის ერთი წარმომადგენელი და მასწავლებლები.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

3..სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების/განხილვის სისტემა. შინაგანაწესი არეგულირებს საჩივრის განხილვის წესს. სკოლას არ ჰყავს მანდატური, მაგრამ ჰყავს უპპ; აგრეთვე ფუნქციონირებს დისციპლინარული კომიტეტი. დისციპლინარული კომიტეტი განიხილავს მოსწავლის, მოსწავლის მშობლების/ კანონიერი წარმომადგენლების, სკოლის თანამშრომელთა სამართლებრივ მდგომარეობას და კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშავებს რეკომენდაციებს შემდგომი რეაგირებისთვის. უპპ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ზრუნავს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებასა და უფლებების დაცვაზე. დისციპლინური დევნა იწყება მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. დირექტორის მიერ მოკვლეული მასალები წარედგინება დისციპლინურ კომიტეტს, რომელიც განიხილავს საჩივარს, ისმენს და აგროვებს ინფორმაციას მომჩივანი მხარეებიდან და დირექტორს აწვდის რეკომენდაციებს შემდგომი რეაგირების მიზნით. სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების მექანიზმები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს წარდგენილ საჩივრებზე ეფექტური რეაგირება.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4..სკოლის პერსონალის და მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის, კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში, აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დარღვევაზე სკოლის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს, აღწერილია დისციპლინური კომიტეტის საქმიანობა, უფლებამოსილების ფარგლები. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებული საკითხები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. დოკუმენტი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სკოლაში განთავსებულია ყველასთვის თვალსაჩინო ადგილზე, ფოიეში.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- დისციპლინარული კომიტეტის დამტკიცების ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი სასკოლო სასწავლო გემის შეთანხმებასთან დაკავშირებით;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით;
- მოსწავლის/მშობლის კანონიერი წარმომადგენლების და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი ღონისძიების დაგეგმვაზე;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1..სკოლის დირექციის, მასწავლებლების განმარტებით, მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებსა და საშუალებებს. სკოლას გააჩნია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების ეფექტური მექანიზმები. შემუშავებულია სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი. სასკოლო საზოგადოებისა და მშობლების ინფორმირება ხდება სოციალური ქსელების, სატელეფონო ზარების, სმს-ების, ელექტრონული ჟურნალით, მშობელთა კრებების მეშვეობით. გარკვეული ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს სკოლის საქმისმწარმოებელი საინფორმაციო დაფაზე განთავსებით ან კონკრეტული დაინტერესებული პირისათვის ინფორმაციის პირადად მიწოდებით, მატერიალური ან ელექტრონული სახით. დირექციას აქვს სასკოლო საზოგადოების მხრიდან მიღებული უკუკავშირის მიღება/გაზიარების პრაქტიკა.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2..სკოლის კოლეგიალური ორგანოები დაკომპლექტებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების წარმომადგენლებით (სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო). იკვეთება აღნიშნული ორგანოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც დასტურდება კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმებით.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის დებულება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების

მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1...სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს უკპ და სკოლის დარაჯები. სართულების მიხედვით განსაზღვრულია მორიგე მასწავლებლები, რომლებიც აკონტროლებენ წესრიგის დაცვას და მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლა აღჭურვილია ცეცხლმაქრებით და სხვა შესაბამისი საგანგებო სიტუაციების მართვის შესაბამისი ინვენტარით. ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112). ასევე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა (საჭიროებს განახლებას). სკოლის გარე პერიმეტრი მოწესრიგებულია, სკოლის ტერიტორია არის შემოღობილი. სკოლამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) შეთანხმებული (2024 წლის 26 მარტი) და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლას გააჩნია დოკუმენტაცია, სადაც მოცემულია სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, სადაც ეძლევა

რეკომენდაცია სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად. დასკვნა მომზადებულია სკოლის მოთხოვნის საფუძველზე (2021წ.). დასკვნაში დაზუსტებულია, რომ სკოლის შენობა არ არის ავარიული და სასწავლო პროცესის წარმართვისთვის არის უსაფრთხო. 2023 წელს სკოლას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები; სკოლას არ აქვს შშს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოწერილობა/დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. შენობის სხვენის ხის კონსტრუქციები არ არის დამუშავებული სპეციალური ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით, არ არის დეტექტორები, ხანძრის ჩამქრობი გაყვანილობა/სისტემა. სკოლას დაწყებული აქვს ამ მიმართულებით რეაგირება. (წერილი ინფრასტრუქტურას თანხის გამოყოფის სახანძრო უსაფრთხოების საკითხის მოსაგვარებლად N402810; 05. 04.24); სკოლაში არ არის შიდა და გარე ვიდეოსამეთვალყურეო კამერები. დაგეგმილია მათი შესყიდვა და მონტაჟი. (წერილი ინფრასტრუქტურის სააგენტოს 10.04.2024 წ.) სკოლას არ ჰყავს საგანმანათლებლო დაწესებულების სამსახურის მანდატური.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობებს“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე სკოლას შექმნილი ჰყავს მრჩეველთა საბჭო. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სკოლას მიეცა რჩევა - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა. სკოლას განემარტა, რომ შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც სკოლას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

სკოლა უზრუნველყოფს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვებას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (18.07.2024 - 18.07.2025) სკოლა უზრუნველყოფს შიდა და გარე პერიმეტრების ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით აღჭურვას, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (10.04.2024 - 10.04.2026)

ინდიკატორი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამემა“

2..სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, კერძოდ სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია ექიმის კაბინეტი. სკოლას გაწერილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები. პირველადი დახმარების პროტოკოლი გაზიარებულია სკოლის საზოგადოებისათვის და გამოკრულია ექიმის კაბინეტში. სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. სკოლას არ ჰყავს ექიმი/ექთანი; მაგრამ გაგზავნილი აქვს წერილი (N 402606 5.04.2024 წელი) და ელოდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან საშტატო ერთეულის დამატებას. დამტკიცების შემთხვევაში გამოცხადდება კონკურსი სკოლის ექიმის ვაკანსიაზე შესაბამისი წესის დაცვით. მანამდე აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა ხდება სოფლის ამბულატორიის ექიმის ან ექთნის მიერ, რომელიც ესაზღვრება სკოლას. განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში ხდება გადამისამართება (112-ის გამოძახებით). სკოლა უზრუნველყოფს ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კადრის აყვანას, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (20.08.2024 - 20.08.2025)

ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამემა“.

3..სკოლამ წარმოადგინა უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ ბრძანება. სკოლაში დამტკიცებულია დოკუმენტი - უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს სკოლის უსაფრთხოების დაცვის სახელმძღვანელოს. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია რა მიზნების შესრულებას ემსახურება და რა ფორმებით ხდება სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მათ შორის, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია ნივთები, რომლით სკოლაში გამოცხადება ან გამოყენება აკრძალულია. საზოგადოებრივ წესრიგს ასევე უზრუნველყოფენ სკოლის დარაჯები, მორიგე პედაგოგები. სკოლის შენობაში უცხო პირთა გადაადგილებას და შესაბამის

რეესტრს აწარმოებს დარაჯი. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული-მრჩეველთა საბჭო, რომლის კომპეტენციებშია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სხვადასხვა რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა. სკოლა აგრეთვე უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლის ეზო შემოღობილია, მაგრამ უცხო პირთა გადაადგილება ძირითადად არ ხდება, რადგან ტერიტორია მუდმივად კონტროლდება სკოლის დარაჯების მიერ. სკოლაში უცხო პირთა ვიზიტი ხორციელდება დარაჯის სატელეფონო ზარის განხორციელების შემდეგ დირექტორის ნებართვით. სკოლას არ აქვს სათვალთვალო სისტემა, ვიდეოთვალი. სკოლის უსაფრთხოება ღამის საათებშიც უზრუნველყოფილია დარაჯის მიერ.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4..სკოლაში შექმნილია მზრუნველი, სანდო და ემოციურად უსაფრთხო გარემო. უპპ, დამრიგებლები, სპეციალური მასწავლებელი, პროფესიონალი მასწავლებლების გუნდი. სწორედ, მათ ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები, მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობა და ზრუნვა სკოლაში ქმნის ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს. დამრიგებლები მოსწავლეებს აწვდიან საჭირო ინფორმაციას ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. ასევე, უპპ, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი ახორციელებენ სხვადასხვა სახის აქტივობებს, ხდება ფილმების ჩვენება შესაბამის თემაზე, ტარდება საუბრები და დისკუსია ბულინგის თემაზე, საგზაო უსაფრთხოების ნიშნების გაცნობაზე და ა.შ.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

5.სკოლა მუდმივად მომარაგებულია ყველა აუცილებელი სანიტარულ-ჰიგიენური რესურსით; სკოლაში დასაქმებული არიან დამლაგებლები, რომელთა ფუნქციებში გაწერილია დაწესებულების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა. მათ მუშაობას თვალყურს ადევნებს სკოლის დირექტორი. სკოლას აქვს ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა, რომელიც აწესრიგებს სკოლის მოვლა-პატრონობას, მომარაგებას ყველა საჭირო რესურსით და ინვენტარით. დამლაგებლის ხელშეკრულებებში გაწერილია ყველა ის ვალდებულება, რაც უზრუნველყოფს

სკოლაში სანიტარული-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში დაცულია სისუფთავე, როგორც კლასებში, ისე სველ წერტილებში, რომლებიც სკოლის ეზოშია. ადაპტირებული სველი წერტილი სკოლას არ აქვს. სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე გოგონებისთვის და ცალკე ვაჟებისათვის, პედაგოგებისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, დაცული, სუფთა, საზოგადოების კულტურული და სოციალური განვითარების დონისათვის შესაფერისი, ხელმისაწვდომი სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისათვის.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

6...სკოლის მიერ წარმოდგენილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სკოლის მიერ შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებს და პროცედურებს. სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ დოკუმენტის თანახმად, მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ჩაატაროს სისტემატიური შეხვედრები (დასწრებით/ონლაინ) სკოლაში დასაქმებულებთან/მოსწავლეებთან და გააცნოს პერსონალური მონაცემების დაცვის წესები. ასევე, გააფრთხილოს იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც

გატარდება პერსონალური მონაცემების

კანონის დარღვევით დამუშავებასთან/გამოყენებასთან/გამჟღავნებასთან დაკავშირებით. ვიზუალური დათვალიერებით სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც დაცულია და ხელმისაწვდომი არ არის. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში გამოყენებულ ყველა კომპიუტერში ლიცენზირებული პროგრამაა. პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

7. სკოლის მიერ შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ სკოლაში მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (მიმდინარე დოკუმენტები, აქტიური პირადი საქმეები) ინახება საქმის მწარმოებელთან. დოკუმენტებზე და/ან მათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საქმისმწარმოებლისგან აღნიშნული დოკუმენტაციის მიღების და შესაბამისი აღრიცხვის გზით. მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (პირადი საქმეები, კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები), რომელიც არ არის აქტიურ მოხმარებაში, არქივდება. სკოლა იცავს მონაცემების კონფიდენციალურობას. მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს და იმ მოცულობით, რომელთაც მონაცემები სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით. სკოლის თანამშრომლები გაფრთხილებული არიან ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ. სკოლის მიერ გაწერილი მექანიზმებით შესაძლებელია ინფორმაცია დაცული იქნას გარეშე პირების უკანონო წვდომისაგან.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამება“.

8. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. სკოლის დირექციის განმარტებით მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე ხდება იმ საკითხების განხილვა, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამხარაულის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის მდგრადობაზე(2021 წ.)
- წერილი სამხარაულის ეროვნულ .ბიუროს (დამატებითი განმარტების მოთხოვნა);
- პასუხი სამხარაულის ეროვნული ბიუროდან ;
- საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- საგანგებო სიტუაციების გეგმის შეთანხმება- წერილი;
- უსაფრთხოების პოლიტიკა;
- მასწავლებელთა მორიგეობის სია;
- თამბაქოს აკრძალვის ბრძანება და წესი;
- დამლაგებლების შრომითი ხელშეკრულება;
- სანიტაიზერების ფოტო, ცხელი ხაზის ნომრის ფოტო, თამბაქოს ამკრძალავი ნიშანი(ფოტო);
- დასაქმებულის ტაბელის ფორმა;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- სამედიცინო სივრცით სარგებლობის დებულების დამტკიცება;
- ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა;
- წერილი ინფრასტრუქტურას სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის განსახორციელებელი სამუშაოების ჩასატარებლად თანხის გამოყოფის თაობაზე;
- წერილი ექიმის შტატის დამატების შესახებ;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1...„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით (უსასყიდლოდ), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის მატერიალური რესურსი, სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, გათბობის სისტემა, სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის

დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. სოფელი ტკოცა არის მაღალმთიანი. სკოლის შენობა არის ორსართულიანი და აგებულია 1985 წელს. სკოლა გათვლილია 144 მოსწავლეზე. უძრავი ქონების საკადასტრო კოდია № 69.05.52.006. ხოლო დაზუსტებული ფართობი 3701,00 კვ.მ. ფართი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით: შენობა-ნაგებობა №1, №2 და №3. საჯარო რეესტრიდან ამონაწერში სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლა მითითებულია, როგორც მოსარგებლე, ხოლო მესაკუთრეს წარმოადგენს სახელმწიფო. სკოლის შენობა გარემონტებულია. მისი შემოსასვლელი და პირველი სართული ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე. სკოლის შენობის სართულებზე განთავსებულია 12 საკლასო ოთახი. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ასაკის შესაბამისი სასკოლო ინვენტარით, მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და სასკოლო დაფით. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია კომპიუტერები. კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. საკლასო ოთახებში არის სასწავლო საგნების თვალსაჩინოებები, სკოლას აქვს სპორტული დარბაზი. დარბაზი აღჭურვილია საჭირო სპორტული ინვენტარით. სკოლის ეზოში არის ღია სპორტული მოედანი. სკოლაში მოწყობილია ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიული კაბინეტი. მოსწავლეებს ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის გაკვეთილების ექსპერიმენტული ნაწილი უტარდებათ ლაბორატორიაში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია აღჭურვილია საჭირო ინვენტარით (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში განთავსებულია კოლბები; მულაჟები; მიკროსკოპები; მაგნიტები; პლასტმასის ცილინდრები; კომპასი და სხვა), რომლის დახმარებითაც მოსწავლეებს შეუძლიათ პრაქტიკული მუშაობა, კვლევის ჩატარება, მისი შედეგის აღრიცხვა, გაანალიზება და სათანადო დასკვნის გამოტანა. სკოლაში დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა, ბუნებრივ აირზე მომუშავე ბოილერით. საქვაბე განთავსებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოუკიდებელ შენობაში. სკოლის შიგნით ხელსაბანი ნიჟარები დამონტაჟებულია მხოლოდ პირველი სართულის კიბის უჯრედში, ექიმის ოთახში, ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის ლაბორატორიებში. სკოლა საკონფერენციო დარბაზად იყენებს საკლასო ოთახს, სადაც ტარდება სხვადასხვა აქტივობა და ღონისძიებები. სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი

ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი (I სართულზე). ამ ეტაპზე 1 სსსმ მოსწავლეა. სკოლა ერთცვლიანია, ამჟამად სწავლობს 59 მოსწავლე (დაწყებით საფეხურზე 42, საბაზო-10, საშუალო-7) სკოლას აქვს 69 მერხი/სკამი, ამასთანავე მოლოდინის რეჟიმშია მიიღოს დამატებითი რაოდენობა, რადგან დაკმაყოფილებულ იქნას მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობა. სკოლის ბალანსზე ირიცხება 29 კომპიუტერი (5 დესკტოპი და 24 ლეპტოპი), 5 პრინტერი(მათ შორის ერთი 3D), ოკულუსი, ასევე, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობის მერხს/სკამს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (18.07.2024 - 18.07.2025) ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

2...სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი, საკლასო ოთახები, რეკრეაციული სივრცეები (დერეფნები და ეზო), ბიბლიოთეკა, სპორტდარბაზი, ღია სპორტული მოედანი, რესურსოთახი, პროექტების საპრეზენტაციო ოთახი, ლაბორატორიები, საგნობრივი კაბინეტები: ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საშუალებას იძლევა მოსწავლეების და სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის სასწავლო პროცესი წარიმართოს შეუფერხებლად. ასევე, ხელს უწყობს სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას, ხოლო შესვენებებზე სრულფასოვან დასვენებას. სწორედ მატერიალურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა არის მნიშვნელოვანი მოტივატორი მასწავლებლებისათვის, რათა მოწესრიგებულ და უსაფრთხო გარემოში მეტი დრო დაუთმონ მოსწავლეებთან ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობას. სკოლაში არსებული მატერიალური თუ ადამიანური რესურსი, თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლის საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის. მოსწავლეებს ხშირად უწევთ სწავლა-სწავლების პროცესში ელექტრონული რესურსების გამოყენება. გაკვეთილების დასრულების შემდეგ მოსწავლეები სარგებლობენ კომპიუტერული ლაბორატორიით, რადგან მოსწავლეთა უმეტეს ნაწილს სახლში კომპიუტერი არა აქვს. სოფელში ინტერნეტი არის, მაგრამ არ არის ფინანსურად ხელმისაწვდომი, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის. მოსწავლეები სარგებლობენ ძირითადად მობილური ტელეფონის ინტერნეტით, რადგან მუდმივად ხელმისაწვდომია რაც მათ

საშუალებას აძლევთ მუდმივად მოიძიონ ინფორმაცია საშინაო დავალებების, თუ პრეზენტაციის შესასრულებლად. სპორტული აქტივობები: ფრენბურთი, კალათბურთი, მხიარული სტარტები, ტარდება სკოლის ეზოში ღია მოედანზე. სკოლაში ჩატარდა მხიარული თამაშები, სადაც ყველა მოსწავლე აქტიურად მონაწილეობდა შიდა სასკოლო შეჯიბრი ჭადრაკში. საბაზო-საშუალო მოსწავლეებმა ჩაატარეს შიდა სასკოლო პირველობაზე შეჯიბრი სამკაცა კალათბურთში. აქტიურად არიან ჩაბმულნი ფეხბურთში, დადიან შეჯიბრებებზე;

ვაჟების, გოგონებისა და პერსონალის საპირფარეშოები განთავსებულია სკოლის ეზოში. სკოლაში არ არის ადაპტირებული სველი წერტილი. ამ ეტაპზე სკოლას დაწყებული აქვს პროცედურა სსიპ ინფრასტრუქტურის სააგენტოში ფართის მიწების შესახებ(წერილი 1721494; 15.12.2023 წელი); რის განხორციელების შემთხვევაში, სკოლას ექნება საპირფარეშოები სკოლის შიგნით, ადაპტირებული სველი წერტილი და ფართი ბუფეტისთვის, არქივისთვის;

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

3..სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ანბანური და თემატური კატალოგები, რაც დაეხმარება მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სასურველი წიგნის მოძიებაში. სკოლას დირექტორის ბრძანებით შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება), რომელიც არეგულირებს სკოლის ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებისა და სარგებლობის წესს. ბიბლიოთეკაში შექმნილია ყველა პირობა, იმისათვის, რომ მოსწავლემ გაიუმჯობესოს კითხვის უნარები, ისარგებლონ და გაეცნონ იქ არსებულ მრავალფეროვან ლიტერატურას.მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის საბიბლიოთეკო სივრცე გამოიყენება სხვადასხვა აქტივობისთვისაც. კერძოდ, პროექტების, სასკოლო ღონისძიებების ჩასატარებლად. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი თვალსაჩინოაა გამოკრული სკოლის ბიბლიოთეკაში.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4...სკოლაში არსებული შიდა თუ გარე სივრცე ნაწილობრივ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს სსსმ მოსწავლეებისთვის. სასკოლო სივრცე გამოიყენება ფორმალური თუ არაფორმალური განათლების მისაღებად. სკოლას ჰყავს 1 სსსმ მოსწავლე. სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო, შესაბამისი და აუცილებელი ინვენტარით. სკოლას აქვს პანდუსი პირველ სართულზე შესასვლელად, თუმცა არ არის პანდუსები/ლიფტი მეორე სართულზე გადასადგომად. მეორე სართულზეა განლაგებული IT და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები. არ არის ადაპტირებული სველი წერტილები. სსსმ მოსწავლისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდების მიზნით სკოლას ჰყავს სპეცმასწავლებელი. სკოლამ წარმოადგინა მიმართვა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსათვის მიშენების თაობაზე. სასურველია სკოლამ უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის მოწყობა ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად.

სკოლა უზრუნველყოფს სწავლის ინკლუზიური გარემოს კეთილმოწყობას (პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილი) სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (15.12.2024-15.12.2025)

ინდიკატორი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამეზა“.

5...სოფელში არ არსებობს სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება. ამავე დროს, სოფელი რაიონული ცენტრიდან დაშორებულია 27 კმ-ით, აქედან გამომდინარე, სკოლა ცდილობს თავისი საგანმანათლებლო პროგრამები: ფორმალური და არაფორმალურიც, მოარგოს მშობლების და მოსწავლეების ინტერესებს. სკოლაში ხორციელდება ისეთი შინაარსის ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობენ და ემსახურებიან სასკოლო საზოგადოებაში და ზოგადად თემში სკოლის, განათლების როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრას. მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობის განსახორციელებლად აქვთ მოწესრიგებული საკლასო ოთახი/სააქტო დარბაზი, კეთილმოწყობილი ეზო. მთელი სკოლა დაფარულია ინტერნეტით. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელშიც გამოყოფილია სამკითხველო სივრცე და წიგნსაცავი. სკოლას აქვს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსით უზრუნველყოფილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ამასთანავე უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესო მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ღონისძიებების ამსახველი მასალები (ფოტოები, მოსწავლეთა ნამუშევრები), გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების საგანმანათლებლო, ემოციური და მოტივაციის აღმძვრელი გამონათქვამები განთავსებულია სკოლის დერეფანში.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის საკადასტრო გეგმა;
- სკოლის ნახაზი სართულების მიხედვით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- სკოლის ბიუჯეტი 2024;
- მიღება-ჩაბარების აქტები;
- სკოლის ფოტომასალა;
- პროექტის ამსახველი ფოტომასალა;
- მატერიალური რესურსების რეესტრი;
- სახელმძღვანელოებზე გაფორმებული ხელშეკრულება (წიგნში);
- პირველკლასელთა ლიმიტების განსაზღვრა (ბრძ. N1კ-8)
- წერილი ინფრასტრუქტურას ფართის მიშენებაზე (15.12.2023 წელი);
- პასუხი ინფრასტრუქტურიდან (22.12.2023 წელი);

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1..სკოლის მისიითა და სტრატეგიული განვითარების გეგმით დგინდება, რომ სკოლის ძირითადი ამოცანაა ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა. სკოლა აღჭურვილია ტექნოლოგიურად, სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2..სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში და ბიბლიოთეკაში გამოყიფილია სივრცეები, რითაც გაზრდილია ხელმისაწვდომობა ციფრულ ტექნოლოგიებზე. სკოლაში განსაზღვრულია კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ვალდებულია იზრუნოს ტექნიკის გამართულობაზე, შეადგინოს საგაკვეთილო პროცესში ტექნიკის გამოყენების განრიგი და აკონტროლოს ტექნიკის დადგენილი განრიგით გამოყენება.

სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომლის თანახმადაც მოსწავლეებს და მასწავლებლებს კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული სამუშაო სივრცით სარგებლობა შეუძლიათ. ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი არის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი, ხოლო ბიბლიოთეკაში მოწყობილ სამუშაო სივრცეში კი - ბიბლიოთეკარი. კომპიუტერულ ლაბორატორიაში გამოკრულია სარგებლობის წესები და განრიგი.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი;
- ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტები;
- პრეზენტაციის ამსახველი ფოტომასალა;
- ციფრული განვითარების გეგმა;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1...სკოლას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების წესი,“ რომელიც

დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილები ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ. 2012 წლიდან სკოლა იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემას eflow-ს და Eschool-ის ბაზას.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2...სკოლა დოკუმენტებს ამუშავებს ელექტრონულად, საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow გამოყენებით.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. მოცემული ინდიკატორი არ ფასდება.

4. მოცემული ინდიკატორი არ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- საქმის მწარმოებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;
- ბრძანება საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ;
- ანგარიში საქართველოს მაცნეს - 10 დეკემრის ანგარიში;
- დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს წინაშე წარდგენილი 2023 წელი;
- დანართი N1 ფინანსურ მართვაზე ანგარიში;
- დანართი N2 სასწავლო პროცესის მართვაზე;
- ბიუჯეტის პროექტი 2024 წელი;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრალობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1..სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის, ინფორმაციის გავრცელებისა და მიღებისთვის სკოლა იყენებს ვებ-გვერდს, სოციალური ქსელსა და სხვა საკომუნიკაციო არხებს. სკოლა საზოგადოების საჯარო ინფორმაციას წარადგენს სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამება“.

2 სკოლის ვებ-გვერდზე და ოფიციალურ სოციალურ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობების, მიღწევების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია არის უტყუარი და სანდო. აღნიშნული ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა

დასტურდება ჩატარებული ღონისძიებების, პროექტების, შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით, ასევე, სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გვერდის ადმინისტრირებაზე და გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3..სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; გასცემს და საჭიროების მიხედვის საჯაროს ხდის ინფორმაციას, თავადაც სრულ მზაობას გამოთქვამს ინფორმაციის მიღების კუთხით სასკოლო საზოგადოების წევრთა მხრიდან მოსაზრებების მისაღებად. ამისათვის სკოლა იყენებს სხვადასხვა ტიპის სოციალურ საკომუნიკაციო საშუალებებს, პირისპირ შეხვედრებს.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4...სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, რომელიც გაკეთდა სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის EMIS მხარდაჭერით ის არის ძირითადი საკომუნიკაციო საშუალება სკოლასა და საზოგადოებას შორის ინფორმირებულობის მხრივ. აღნიშნულ გვერდზე ყველა სახის ინფორმაცია განთავსებულია მხოლოდ სახელმწიფო ენაზე.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

5. სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, რომელიც გაკეთდა სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის EMIS მხარდაჭერით. სკოლას პორტალზე ლოგოსთან ერთად განთავსებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის, ასევე დაინტერესებული პირებისთვის. ამ პორტალზე ეტაპობრივად გასაჯაროვდება სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის პორტალი: <https://rb.gy/7p3cc5>
- სკოლის საინფორმაციო დაფის ფოტო სურათები;
- სკოლის Facebook გვერდი: <https://cutt.ly/Cw394hZK>
- ბრძანება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე; პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ (იხ. დანართი N12);
- საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;
- სკოლის ლოგო

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1..სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი, ექიმის თანამდებობრივი სარგო, სსსმ მოსწავლის დაფინანსება, მასწავლებლების კუთვნილი დანამატის სახით მიღებული დაფინანსება. სკოლას დამატებითი დაფინანსების წყაროა კანონმდებლობით ნებადართული ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ფინანსური სახსრები, რომელიც ასახულია სკოლის ბიუჯეტში და რომელიც მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებაზე. კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, ხდება სკოლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შედის სკოლის ბიუჯეტში, მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ. ბიუჯეტის დაგეგმვისას სკოლა ითვალისწინებს კონკრეტული წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისთვის საჭირო ფინანსური რესურსისგანაწილების პრინციპს.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამება“.

2...სკოლის მიერ ბიუჯეტის შედგენა და დაგეგმვა, ხარჯების მონიტორინგი; ფინანსურ კონტროლი ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ

საქართველოს კანონით დადგენილი წესით, სკოლის ბიუჯეტს დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭო იბარებს დირექტორის ანგარიშს სკოლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბუღალტრის ხელშეკრულება ;
- 2024 წლის საშტატო განრიგი;
- 2024 წლის ბიუჯეტის გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N7 ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით ;
- გეგმიური ინვენტარიზაციის განხორციელების შესახებ ბრძანება;
- გეგმიური ინვენტარიზაციის შედეგების აქტი;
- შესყიდვების გეგმა 2024 წელი;
- მიღება-ჩაბარების აქტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

